დანართი 3: საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში

2022 წლის 24 მარტს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე, ხოლო 2022 წლის 30 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის (NEAP-4) პროექტი. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს 10 აპრილის ჩათვლით შეეძლო შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა. NEAP 4 პროექტის პირველი საჯარო კონსულტაცია გაიმართა 2022 წლის 18 აპრილს დისტანციურად, ZOOM პლატფორმის საშუალებით. შეხვედრას ესწრებოდა 78 მონაწილე. შეხვედრა 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა და განხილულ იქნა NEAP-4 პროექტის სექტორული პრიორიტეტები. დარგის წარმომადგენლების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით და მათი მოთხოვნის შესაბამისად, NEAP-4 პროექტის თითოეული სექტორული პრიორიტეტის თემატურად განხილვის მიზნით, საჯარო კონსულტაციები გაგრძელდა 2022 წლის 27 მაისამდე. საერთო ჯამში, დისტანციურად ჩატარდა 9 საჯარო კონსულტაცია, ხოლო კონსულტაციების საერთო ხანგრძლივობამ შეადგინა 33 საათი:

საჯარო კონსულტაციის თარიღი	განსახილველი თემა	მონაწილეთა რაოდენობა
18 აპრილი 2022 წ.	NEAP-4 პროექტი	78
16 მაისი 2022 წ.	NEAP-4 პროექტის სექტორული პრიორიტეტი: ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება	6
17 მაისი 2022 წ.	NEAP-4 პროექტის სექტორული პრიორიტეტები: ატმოსფერული ჰაერის დაცვა; კლიმატის ცვლილება	32
18 მაისი 2022 წ.	NEAP-4 პროექტის სექტორული პრიორიტეტები: ნარჩენების მართვა; ქიმიური ნივთიერებების მართვა	18
19 მაისი 2022 წ.	NEAP-4 პროექტის სექტორული პრიორიტეტები: წყლის რესურსების დაცვა; შავი ზღვის გარემოს დაცვა	35
23 მაისი 2022 წ.	NEAP-4 პროექტის სექტორული	25

	პრიორიტეტები: ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები; ტყის მართვა	
24 მაისი 2022 წ.	NEAP-4 პროექტის სექტორული პრიორიტეტები: გარემოსდაცვითი მმართველობა; ბუნებრივი საფრთხეებისა და რისკების მართვა	27
25 მაისი 2022 წ.	NEAP-4 პროექტის სექტორული პრიორიტეტი: მიწის რესურსების დაცვა	10
27 მაისი 2022 წ.	NEAP-4 პროექტის სექტორული პრიორიტეტი: გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის	21

აღნიშნული საჯარო კონსულტაციების შედეგად ელექტრონული ფოსტით 15 წერილი იქნა წარმოდგენილი. ყველა წერილს ინდივიდუალურად გაეცა პასუხი.

სულ წარმოდგენილ იქნა 370-ზე მეტი შეკითხვა/რეკომენდაცია/კომენტარი. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელ ანგარიშში წარმოდგენილია ყველა იმ სპეციფიკური რეკომენდაციის/კომენტარის პასუხი, რომელიც NEAP-4 პროექტის რომელიმე ნაწილს ეხებოდა.

სექტორული პრიორიტეტებისთვის სპეციფიკური რეკომენდაციები	
შემოსული რეკომენდაციების საერთო რაოდენობა	75
გათვალისწინებულია	28
ნაწილობრივ გათვალისწინებულია	6
არ არის გათვალისწინებული	41

ელექტრონული ფორმით მიღებული რეკომენდაციის/კომენტარის რეგისტრაციისთვის მომზადდა შესაბამისი ფორმა, რომელშიც წარმოდგენილი იქნა როგორც რეკომენდაციის შინაარსი, ასევე სამინისტროს უკუკავშირი და რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში დასაბუთებული პოზიცია.

წარმოდგენილი წინადადებები განიხილა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა და სამინისტროს სისტემაში შემავალმა უწყებებმა. ცალკეული წინანდადებების შემაჯამებელი განხილვა წარიმართა უფრო წარმომადგენლობითი, ორდღიანი შეხვედრების ფორმატში, 2022 წლის 24-25 ივნისს.

დეტალურად, შემოსული რეკომენდაციების/კომენტარების რეესტრი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებები იხილეთ თანდართულ ცხრილში - სპეციფიკური რეკომენდაციები სექტორული პრიორიტეტებისათვის.

სპეციფიკური რეკომენდაციები სექტორული პრიორიტეტებისთვის

№	საკითხი	რეკომენდაცია / კომენტარი	სტატუსი	განმარტება
1	„ატმოსფერული ჰაერის დაცვა“ - დაბინძურების სხვადასხვა წყაროებიდან გაფრქვევები	ტექსტში ვკითხულობთ, რომ „ბუნებრივი წყაროებიდან ასევე აღსანიშნავია ღია გრუნტი (გაზონით ან სხვა საშუალებით დაუფარავი მიწის ზედაპირი), რაც ამტვერების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.“ ღია გრუნტი განხილულია მხოლოდ პრობლემისა და გამოწვევის ჭრილში, თუმცა საკითხის გადაწყვეტის გზა დოკუმენტში აღწერილი არაა. ვფიქრობთ, აუცილებელია დოკუმენტს დაემატოს კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება ღია გრუნტის პრობლემის აღმოფხვრისკენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავში დაბინძურების ძირითად ანთროპოგენურ წყაროს საწარმოო სექტორი წარმოადგენს, ბუნებრივი წყაროებიდან დაბინძურების უდიდესი პრობლემაა ღია გრუნტი, რომელიც ქარიან ამინდში ყოველ ჯერზე თავს იჩენს და	ნაწილობრივ გათვალისწინებულია	ვინაიდან ღია გრუნტიდან ჰაერის დაბინძურება წარმოადგენს ლოკალურ პრობლემას და მისი მოგვარების მექანიზმები უმეტესად მუნიციპალიტეტების ხელთაა, დაბინძურების შესამცირებელი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხი განხილული იქნება ზონებისა და აგლომერაციების ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების შემუშავების პროცესში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, NEAP 4-ის „ხედვა, მიზნები და ამოცანების“ ნაწილში, „ამოცანა 7.1 დაბინძურების სხვადასხვა წყაროდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება“-ის ქვეშ დაემატა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „სამშენებლო სექტორიდან ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედებისა და ღია გრუნტიდან ჰაერს დაბინძურების შემცირების მიზნით კონკრეტული აქტივობები, მიზანშეწონილობის გათვალისწინებით განისაზღვრება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის

		დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს.		გეგმების ფარგლებში ზონებისა და აგლომერაციის დონეზე.“
2	გარემოსდაცვითი მმართველობა	„გზშ-ს და სგშ-ს ანგარიშების არასათანადო ხარისხის გამო, ხშირია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ხარვეზების დადგენის შემთხვევები, რაც იწვევს ადმინისტრაციული წარმოების შეჩერებას/ შეწყვეტას. როგორც ცხრილი 2-1-დან ჩანს, 2020 წელს სამინისტროში ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით” გათვალისწინებული გზშ-ს პროცედურების გავლის მიზნით რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობას, რაც აღნიშნული მიზეზით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერებით/ შეწყვეტით არის განპირობებული“ - წარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, უნდა გაიმიჯნოს რა წარმოადგენს პროექტზე უარის თქმის საფუძველს და რა - არა. არსებობს არაერთი	არ არის გათვალისწინებული	საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის საფუძვლები განსაზღვრულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით

		მაგალითი, როდესაც კომპანიისთვის არაერთხელ წარმოების შეჩერების მიუხედავად, მათ ვერ უზრუნველყვეს სამინისტროს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენა, თუმცა საბოლოოდ, საქმიანობებზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მაინც გაიცა.		
3	გარემოსდაცვითი მმართველობა	სასურველია, ცხრილი 2-1 გზშ-ს პროცედურების გავლის მიზნით სამინისტროში დარეგისტრირებული განცხადებების და სამინისტროს მიერ გაცემული გადაწყვეტილებების რაოდენობა, მოიცავდეს უარის თქმის გადაწყვეტილების რიცხვსაც. ასევე, ვინაიდან დოკუმენტი 2022-2026 წლებისთვისაა შექმნილი, ამიტომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედებიდან - 2022 წლამდე მონაცემებიც უნდა იყოს წარმოდგენილი.	არ არის გათვალისწინებული	სტატისტიკისთვის გამოყენებულ იქნა და საბაზისოდ აღებულ იქნა 2020 წლის მონაცემები, რადგან სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში კატეგორიების მიხედვით განცხადებების რეგისტრაცია დაიწყო 2020 წელს.
4	გარემოსდაცვითი მმართველობა	გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დასახელებულია ინფორმაციის გაბნეულობა სხვადასხვა სტრუქტურებში და არსებული ინფორმაციის ერთ სივრცეში თავმოყრის სირთულე და/ან	არ არის გათვალისწინებული	ამ ეტაპზე არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს ცენტრისთვის ინფორმაციის პროაქტიულად მიწოდების და განთავსების ვალდებულებებს. დოკუმენტის ლოგიკურ ჩარჩოში ამოცანა 4.1- ის - „გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვების მექანიზმის

		შეუძლებლობა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქვეყანაში გარემოს შესახებ არსებული ინფორმაცია გაბნეულია აღნიშნული ინფორმაციის მფლობელ/მწარმოებელ სტრუქტურებს შორის და არ არსებობს ინფორმაციის ერთ სივრცეში განთავსების მექანიზმი. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში თავად ინფორმაციის ფორმატი არ არის მარტივად აღსაქმელი რიგითი მოქალაქისთვის. შესაბამისად, ძირითად გამოწვევას ამ მხრივ, დამუშავებულ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს“ - 2018 წელს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა შეიმუშავა - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემა, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა ინფორმაციის არამარტო ერთ სივრცეში კონსოლიდაციის, არამედ მონაცემთა ანალიზისა და ვიზუალიზაციის ფუნქციით, შესაბამისად, მსგავსი სისტემის განვითარება, და/ან თუნდაც გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდთან ჩაშენება,		შექმნა და მასზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა“ აქტივობა 4.1.1 პასუხობს აღნიშნულ გამოწვევას, რომლის მიხედვითაც მომზადდება და დამტკიცდება სამართლებრივი აქტი, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი ინფორმაციის პროაქტიულად მიღებას და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდის eiec.gov.ge საშუალებით რიგითი მოქალაქეებისათვის ინფორმაციაზე ხელმისაწვოდმობას მარტივად აღსაქმელი გზით საჯარო საინფორმაციო პორტალის ფორმატის შესაბამისად. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემა თავისი ფუნქციონალით სრულად განსხვავდება საჯარო საინფორმაციო პორტალის ფუნქციონალისგან შესაბამისად ცენტრის ვებ-გვერდთან მისი ჩაშენება არ არის მიზანშეწონილი ტექნიკურად და შინაარსობრივად.

		მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და ანალიზის პრობლემას. აღსანიშნავია ისიც, რომ პრობლემის აღმოსაფხვრელად მიმართულ ეფექტიან ქმედებას ვერ ვხვდებით დოკუმენტის ლოგიკურ ჩარჩოშიც.		
5	წყლის რესურსების დაცვა (ბუნებრივი და ანთროპოგენური ზეწოლა წყლის რაოდენობაზე)	ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს ყოველთვის წარმოადგენდა წყლის ეკოლოგიური/გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის საკითხი, რომელიც განსაკუთრებით პრობლემურია დერივაციული ჰესების პროექტების განხორციელების დროს. შემოთავაზებული დოკუმენტის სიტუაციის აღწერის ნაწილში, ხაზგასმულია წყლის გარემოსდაცვითი ხარჯის პრობლემურობის საკითხიც, რაც ლოგიკურია, თუმცა პრობლემის გადასაჭრელად მიმართულ ქმედებას ვერ ვხვდებით ლოგიკურ ჩარჩოში, რაც საკითხის პრობლემურობიდან გამომდინარე არალოგიკურია. დოკუმენტში ვკითხულობთ: „წყლის რესურსების არამდგრადი გამოყენება და გარემოსდაცვითი ხარჯის გაუთვალისწინებლობა ლოკალურად უარყოფით	არ არის გათვალისწინებული	გარემოსდაცვითი ხარჯის საკითხი გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაშის 5.2.2 აქტივობით (“გარემოსდაცვითი ხარჯის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ” ბრძანების შემუშავება და მიღება)

		ზეგავლენას ახდენს წყლის ობიექტებში წყალზე დამოკიდებული სახეობებისა და ჰაბიტატების სასიცოცხლო ციკლზე, მათ შორის, იწვევს თევზის ქვირითობის ადგილების დაშრობას და/ან მათი გამრავლებისა და განვითარების შეფერხებას. მდინარის ბუნებრივ კალაპოტში მდინარის არასაკმარისი ხარჯი უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჭალის ტყეებზეც. მაგ. ალაზანი-ივრის სააუზო მართვის გეგმის პროექტის სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში აღნიშნულია, რომ გარემოსდაცვითი ხარჯის გაუთვალისწინებლობა გამოიწვევს ალაზანი-ივრის აუზის ჭალის ტყეების ფართობის შემცირებას და უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს ამ ჰაბიტატების სახეობრივ შემადგენლობაზე.“ ვფიქრობთ, იმის ფონზე, რომ აქტიურად მიმდინარეობს ენერგეტიკის განვითარებაზე საუბარი, კერძოდ კი დღის წესრიგში დგას დიდი და მცირე ჰესების აშენების საკითხი, აუცილებლად უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები პრობლემური საკითხის აღმოსაფხვრელად და ეს		

		შესაბამისად უნდა იყოს ასახული მოქმედებათა მეოთხე პროგრამაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საერთაშორისო დონორებისა და პარტნიორების დახმარებით შემუშავებულია სახელმძღვანელო მეთოდოლოგიაც წყლის ეკოლოგიური ხარჯის დასათვლელად, რომელიც ამ ეტაპზე პრაკტიკაში არ არის დანერგილი.		
6	წყლის რესურსების დაცვა (ბუნებრივი და ანთროპოგენური ზეწოლა წყლის რაოდენობაზე)	პროგრამაში უნდა აღინიშნოს დალის წყალსაცავის არსებობა და წყლის რესურსის არამდგრადი გამოყენება, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ჭაჭუნას აღკვეთილის ჭალის ტყეზე და გაიწეროს შესაბამისი ქმედებები აღნიშნული პრობლების საპასუხოდ	არ არის გათვალისწინებული	დალის წყალსაცავთან დაკავშირებული ქმედებები არის კონკრეტული და მსგავსი ღონისძიებების გათვალისწინება უნდა მოხდეს საუზო მართვის გეგმაში.
7	მიწის რესურსების დაცვა	მიწის რესურსების დაცვის თავში უნდა განისაზღვროს, რომ მოხდეს სათიბ-საძოვრების ინვენტარიზაცია.	გათვალისწინებულია	
8	მიწის რესურსების დაცვა	ასევე, აღიწეროს პრობლემა, რომელიც უკავშირდება საძოვრების ქვეიჯარების პრაქტიკას.	არ არის გათვალისწინებული	პრობლემების აღწერა მოხდება საძოვრების პოლიტიკის დოკუმენტში. მხოლოდ ქვეიჯარები არ არის პრობლემა.
9	მიწის რესურსების დაცვა	პროგრამა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სააგენტოს შესახებ; სამართლებრივი ნაწილის მიმოხილვის ნაწილში კი,	გათვალისწინებულია	

		აღინიშნოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისავდომობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება.		
10	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	საძოვრების მართვის კონტექსტში მნიშვნელოვანია ცალკე პარაგრაფი დაეთმოს დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული საძოვრების გამოყენებას.	არ არის გათვალისწინებული	დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული საძოვრების გამოყენების საკითხი განხილული იქნება როგორც დაცული ტერიტორიების კონცეფციის, ისე დაცული ტერიტორიების სტრატეგიის დოკუმენტებში
11	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	„ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლის ფარგლებში დაცულ ტერიტორიაზე აშენდა ახალი ინფრასტრუქტურა და მოხდა ძველის რეაბილიტაცია. ამჟამინდელი მდგომარეობით ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა მოწყობილია 16 ლოკაციაზე“ - განისაზღვროს სახელმწიფოს ხედვა ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურასა და დაცულ ტერიტორიებზე სხვა სახის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელიც თავისი	არ არის გათვალისწინებული	არსებული ინფორმაცია დოკუმენტში განხილულია განხორციელებული რეფორმებისა და ღონისძიებების ნაწილში, შესაბამისად, ინფრასტრუქტურული ობიეტების არსებობა მიმოხილულია არსებული სიტუაციიის აღწერის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ნაწილში ხედვა ან სხვა სახის ინფორმცია არ შეესაბამება დოკუმენტის ფორმატს. ამასთან, GIZ -ის ფინანსური მხარდაჭერით და GNTA, NFA და APA -ს, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით 2020 წელს შემუშავდა „საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030“. აღნიშნული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა ქმედებების განხორციელება მდგრადი ტურიზმის

		კრიტერიუმებით არ ერგება ეკოტურიზმის მიზნებს.		განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის, ინფრასტრუქტურის მდგრადი დიზაინის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, როგორც დაცულ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.
12	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	„სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემისა და მის საფუძველზე სამონადირეო მეურნეობის მართვის (მათ შორის მდგრადი ნადირობის) არსებული სისტემა არაეფექტურია, რადგან არ არის სრულფასოვნად დანერგილი ნადირობის პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და სანადირო, თუ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების აღწარმოების ინსტრუმენტები და მექანიზმები, როგორიცაა მაგალითად, ნადირობისათვის გამოყოფილი ტერიტორიების წინასწარ შერჩევისა და შეფასების მეთოდოლოგია, სანადირო ფართობის მართვის დეტალური და აპრობირებული მექანიზმები, უკანონო სარგებლობის აღმოფხვრის და კონტროლის კუთხით ნათლად გაწერილი პასუხისმგებლობები, აღწარმოების პროგრამების შემუშავების ვალდებულების მექანიზმები და ა.შ. ამ ჭრილში მოსაწესრიგებელია, ასევე, გადამფრენ ფრინველებზე	არ არის გათვალისწინებული	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უახლოეს მომავალში დაიწყებს მუშაობას დაცული ტერიტორიების კონცეფციის შემუშავებაზე, რომელშიც აისახება სახელმწიფოს ხედვა დაცულ ტერიტორიებზე სამონადირეო მეურნეობების შექმნასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ამ ნაწილში დასმული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, უკვე მიმდინარეობს ნადირობის შესახებ კანონის პროექტზე მუშაობა. ასევე, შემუშავების პროცესშია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ საქართველოს კანონის პროექტიც.

		ნადირობის ასპექტები“ - ამ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფოს ხედვა დაცულ ტერიტორიებსა და სამონადირეო მეურნეობის შექმნასთან დაკავშირებულ საფრთხის აღმოსაფხვრელად.		
13	ტყის მართვა	ტყესთან არსებულ გამოწვევებისა და გამომწვევი ფაქტორების ნაწილში, უნდა აღინიშნოს წყალსაცავის და წყლის რესურსებით, საძოვრების არამდგრადი მართვით, ბუნებრივი რესურსების მოპოვებით, გამოწვეული პრობლემები, რაც საფრთხეს უქმნის ჭალის ტყეების არსებობას.	გათვალისწინებულია	
14	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება	აღნიშნული თემატიკა „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება“ კიდევ ერთი, შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია იმისა, თუ რატომ უნდა შესრულდეს NEAP-4 პროგრამის სგშ: გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართი I სკრინინგის გარეშე ითვალისწინებს შეფასების აუცილებლობას ბირთვული და რადიოაქტიური დარგის საქმიანობებისთვის და შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტებისთვის, იხ. განსაკუთრებით პუნქტები 3 და 4	არ არის გათვალისწინებული	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სგშ-ს ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის და სტრატეგიულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის ... რომლებითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის შემდეგ სექტორებში: სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა თევზწერა და ა.შ.“.

		ქვეპუნქტებითურთ (თითქმის ყველა შეხებაშია) და ასევე II დანართით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის (პუნქტები 2.5 და 3.7). მსგავსი მნიშვნელობის საკითხის საპირწონედ (როგორიცაა „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება“) ვერ განიხილება სამართლებრივად ნაკლებად მნიშვნელოვანი ფორმალური მიზეზი, რომელიც დასახელებულ იქნა არგუმენტად, თუ რატომ არ უნდა ექვემდებარებოდეს დოკუმენტი სგშ-ს. დაბეჯითებით გთხოვთ, საკითხი შეათანხმოთ და შეაჯეროთ UNECE-თან, რომელიც პერფორმანს-მონიტორინგს უწევს პერიოდულად სამინისტროს და გარემოს დაცვის სექტორს, ასევე, მათი მხარდაჭერით იქნა შემუშავებული კოდექსი, UNECE ასევე სეკრეტარიატია ორჰუსის კონვენციის და იმავდროულად ესპოს კონვენციის, სგშ პროტოკოლის ჩათვლით.		ამავე კანონის მე-3 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ) არის - ამ კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების პროცედურა. სგშ მოიცავს სკოპინგს, სგშ-ის ანგარიშის მომზადებას, საზოგადოების მონაწილეობას, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კონსულტაციების გამართვას და მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და შეფასების შედეგების მხედველობაში მიღებას სტრატეგიული დოკუმენტის მიღებისას/დამტკიცებისას. ხოლო „ყ“ ქვეპუნქტის თანახმად კი სტრატეგიული დოკუმენტი არის - საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლითაც ცალკეული სექტორებისთვის დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამ კოდექსის III თავის შესაბამისად და ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების

				სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები. წარმოდგენილი „გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა“ მომზადებულია „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა მტკიცდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად მთავრობის ნორმატიული აქტი არის დადგენილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიზნებისათვის სტრატეგიული დოკუმენტი არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ხოლო „გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა“ კი მტკიცდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით (ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით), შესაბამისად ამ დოკუმენტზე არ გავრცელდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნები. ასევე, უნდა აღინიშნოს რომ გარემოსდაცვითი

				შეფასების კოდექსის თანახმად სგშ უნდა წარედგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (2022 წლის 1 მაისამდე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს), რომელმაც უნდა უზრუნველყოს სგშ-ს ანგარიშის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცება. ვინაიდან წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია სამინისტროს მიერ და რომლის მომზადების პროცესშიც ჩართული იყო სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა შესაბამისი სტრუქტურა, შესაბამისად სგშ-ს ჩატარების საჭიროება არ არის.
15	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება	რის შესყიდვას ითვალისწინებს აღნიშნული თანხები? საჭირო ხომ არ არის მეტი დეტალი იყოს მოხსენიებული აქ და შემდგომ შეტანილი დანართი 1 სამოქმედო გეგმის ფინანსურ ნაწილში „სხვა წყაროების“ სვეტში?	არ არის გათვალისწინებული	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მიმართულებით, მეოთხე პროგრამაში დასახული პრიორიტეტები და იდენტიფიცირებული აქტივობები არის მჭიდრო კავშირში ქვეყნის თანამშრომლობის მესამე ჩარჩო პროგრამასთან, თუმცა არ იფარება ამ უკანასნელით. აქედან გამომდინარე, არ არსებობს საჭიროება, დამატებით განვიხილოთ ჩარჩო პროგრამის დეტალები და ამავდროულად, დაფინანსების წყაროს ვერ მივუთითებთ აქტივობების ცხრილში, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, შერჩეული აქტივობები არ ხორციელდება ჩარჩო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებით.

16	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება (რადიაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების არასაკმარისად გამართული ინფრასტრუქტურა)	კარგი იქნებოდა განგვემარტა, როგორია ამ საკითხის მიმართება მცხეთის გენგეგმასთან და მის სგშ-თან. იგივე შეეხება თბილისს	არ არის გათვალისწინებული	მცხეთის გენერალური გეგმის პროექტზე გაცემულია სკოპინგის დასკვნა, სკოპინგის ანგარიშში ასახული იყო მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხათგვერდის მიმდებარე ტერიტორიაზე რადიოაქტიური ნარჩენების საცავის შესახებ ინფორმაცია. სგშ-ის ანგარიში წარმოდგენილი არ ყოფილა
17	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება (ამოცანა 15.2. რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების ინფრასტრუქტურის განვითარება)	აღნიშნულ სამუშაოებზე ბიუჯეტი არ არის გათვალისწინებული დანართში 1. სამოქმედო გეგმა იხ. პუნქტი „შემუშავებული რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების დეტალური პროექტ(ებ)ი“. პროექტირება მოხსენიებულია, მაგრამ გზშ მოხსენიებული არ არის გეგმაში, არც გაფასებული	ნაწილობრივ გათვალისწინებულია	ევროკავშირთან და შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელ ორგანოსთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავებული პროექტი ითვალისწინებს კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა ეტაპის განხორციელებას, მათ შორის, გზშ-ს. ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტება იხილეთ 19-ე კომენტარის პასუხად.
18	სამოქმედო გეგმა (აქტივობა 15.3.1)	აღნიშნულ დანართში „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების“ ნაწილში მითითებული ფინანსური რესურსები არ შეიცავს ტექსტში ნახსენებ „10 მლნ ევროს ღირებულების ბირთვულ	არ არის გათვალისწინებული	იხ. მე-15 კომენტარის პასუხი იმავე თემატიკასთან დაკავშირებით.

		ტექნოლოგიებსა და ტექნიკური თანამშრომლობის სხვა რესურსს“ „სხვა წყაროების“ სვეტში.		
19	სამოქმედო გეგმა (აქტივობა 15.2.1)	ბიუჯეტი არ არის პროექტირებაზე გათვალისწინებული? გზშ საერთოდ მოხსენიებულიც არ არის.	ნაწილობრივ გათვალისწინებულია	აქტივობის ფორმულირებას დაემატა შემდეგი: „(მათ შორის, გზშ, უსაფრთხოების შეფასება, ხარისხის კონტროლი)“ ამასთან, აღნიშნული პროექტი უნდა განხორციელდეს ევროკავშირთან და შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელ ორგანოსთან თანამშრომლობის ფარგლებში. ამჟამად, საერთაშორისო პარტნიორები ჩართულნი არიან ტენდერის პროცესში განმახორციელებელი კომპანიის შესარჩევად. შესაბამისად, ბიუჯეტი (დონორისგან) დაზუსტდება აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ.
20	ატმოსფერული ჰაერის დაცვა (სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო)	მე-3 მიზანი აუცილებლად მოხსენიებული უნდა იყოს შესავალში სხვა ექვს „გარემოსდაცვით“ მიზანთან ერთად.	არ არის გათვალისწინებული	სიტუაციის ანალიზის გარემოსდაცვითი მმართველობის თავში მითითებულია მდგრადი განვითარების მიზნები, რომელიც ეხება უშუალოდ გარემოს დაცვის საკითხებს და ხვდება გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) დაფარვის ქვეშ. მდგრადი განვითარების მე-3 მიზნის მხოლოდ ერთი ამოცანა ეხება უშუალოდ გარემოს დაცვას და იგი მოხსენიებულია დარგობრივ მიმართულებებში, ატმოსფერული ჰაერის დაცვის, ქიმიური ნივთიერებების მართვისა და ბირთვული და რადიაციული

				უსაფრთხოების თავებში, ასევე ლოგიკურ ჩარჩოში.
21	კლიმატის ცვლილება (განხორციელებული რეფორმები/ღონისძიე-ბები, მე-5 პარაგრაფი)	ვის მიერ მომზადდა? ვებ-ბმული? რატომ არ არის მოყვანილი აქ ციტირებული ანგარიშებისთვის ინტერნეტ-წყაროები?	გათვალისწინებულია	Footnote-ის სახით NEAP 4 დაემატა ინფორმაცია ანგარიშის შესახებ და ასევე ბმული, სადაც განთავსებულია აღნიშნული ანგარიში. https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34886
22	ატმოსფერული ჰაერის დაცვა	საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სუფთა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ჰაერის უზრუნველყოფა (მიზანი 7) - მიღწევადია? ხომ არ არის საჭირო მოდიფიცირება მიზნის უფრო რეალისტურზე?	არ არის გათვალისწინებული	მიზანი გრძლევადიანია და იგი ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნის 11.6 ამოცანას. ამასთან, პროგრამის ლოგიკური ჩარჩოს ნაწილში მიზნისთვის იდენტიფიცირებულია კონკრეტული ინდიკატორი, რომელიც უფრო ნათლად ასახავს პროგრესს მიზნის მიღწევის თვალსაზრისით 2026 წლისათვის.
23	ატმოსფერული ჰაერის დაცვა (ლოგიკური ჩარჩო)	სამშენებლო სექტორის მტვერთან ბრძოლის მცირე ხარჯიანი ქმედებები არ არის მითითებული. საერთოდ რომელი ქმედებაა ჰაერის დაბინძურების შემცირებისკენ მიმართული?	ნაწილობრივ გათვალისწინებულია	აღსანიშნავია, რომ ლოგიკურ ჩარჩოში მიეთითება მიზნები და ამოცანები და არა აქტივობები. ამასთან, ვინაიდან სამშენებლო სექტორის რეგულირების ძირითადი ბერკეტები მუნიციპალიტეტების ხელთაა, აღნიშნული სექტორიდან ატმოსფერული ჰაერზე მავნე ზემოქმედება და დაბინძურების შესამცირებელი ღონისძიებების განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხი განხილული იქნება ზონებისა და აგლომერაციების ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების შემუშავების პროცესში.

				ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წინამდებარე პროგრამას „ხედვა, მიზნები და ამოცანების“ ნაწილში, „ამოცანა 7.1 დაბინძურების სხვადასხვა წყაროდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების“ ქვეშ დაემატა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „სამშენებლო სექტორიდან ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედებისა და ღია გრუნტიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით კონკრეტული აქტივობები, მიზანშეწონილობის გათვალისწინებით განისაზღვრება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების ფარგლებში ზონებისა და აგლომერაციის დონეზე.“ ჰაერის დაბინძურების შემცირებისკენ მიმართული აქტივობები მოცემულია სამოქმედო გეგმის ცხრილში მე-7 მიზნის ქვეშ.
24	ნარჩენების მართვა	კიდევ ერთი დარგი, რომელიც მოითხოვს NEAP-4-ის სგშ-ს	არ არის გათვალისწინებული	სგშ-სთან დაკავშირებით იხ. განმარტება მე-14 კომენტარის პასუხად
25	ნარჩენების მართვა (სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო)	საზღვაო ნარჩენები? ხომ არ განვიხილოთ პლიაჟის ნარჩენები ინდიკატორად ნარჩენების მართვის სექტორის?	არ არის გათვალისწინებული	ნარჩენების მართვის კოდექსის რეგულირების სფეროს არ განეკუთვნება „ჩამდინარე წყლები, წყლის ობიექტების (მათ შორის, შავი ზღვის) ჩამდინარე წყლებით ან/და ნარჩენებით დაბინძურება“. მხოლოდ პლაჟის ნარჩენები ვერ იქნება ნარჩენების მართვის სექტორის ინდიკატორად განხილული. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის

				დასუფთავების ვალდებულება (მათ შორის პლაჟის) მუნიციპალიტეტს ეკისრება (თუ აღნიშნული ტერიტორია კერძო საკუთრებას არ წარმოადგენს).
26	ნარჩენების მართვა (სამოქმედო გეგმა)	კიდევ ერთი დარგი, რომელიც მოითხოვს NEAP-4-ის სგშ-ს	არ არის გათვალისწინებული	სგშ-სთან დაკავშირებით იხ. განმარტება მე-14 კომენტარის პასუხად
27	წყლის რესურსების დაცვა (განხორციელებული რეფორმები და ღონისძიებები)	არ არის ნახსენები და ციტირებული, რომ USAID-ის მხარდაჭერით შემუშავებულია გარემოსდაცვითი ხარჯის სახელმძღვანელო და გაიდლაინი, თუმცა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული მიუხედავად უამრავი ჰესის მშენებლობისა სათანადოდ განსაზღვრული გარემოსდაცვითი ხარჯის გარეშე.	არ არის გათვალისწინებული	განხორციელებულ რეფორმებში შეტანილია გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული ის ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდა. გარემოსდაცვითი ხარჯის მეთოლოგია ამ ნაწილში არ არის ნახსენები, რადგან გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული აქტივობა „გარემოსდაცვითი ხარჯის გამოთვლის პრაქტიკის დანერგვა“ არ შესრულდა. სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია შემუშავებულია, თუმცა, პრაქტიკა არ არის ჯერ დანერგილი.
28	წყლის რესურსების დაცვა (განხორციელებული რეფორმები და ღონისძიებები)	სანაპირო წყლებისთვისაც მომზადდა გეგმა	გათვალისწინებულია	

29	წყლის რესურსების დაცვა (არასრულყოფილი მონაცემები წყლის ხარისხის მართვის სფეროში)	მონიტორინგის სისტემის რუკა სასურველი იქნებოდა.	არ არის გათვალისწინებული	პოლიტიკის დოკუმენტის ფორმატიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია რუკების ჩასმა. შესაბამისი რუკები განთავსებული იქნება გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში, რომელზე მუშაობაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს.
30	წყლის რესურსების დაცვა (წერტილოვანი და დიფუზური წყაროებიდან დაბინძურება)	თუკი მანგანუმით ყვირილას დაბინძურების შემცირებაში პროგრესი არ გვაქვს, უნდა აღინიშნოს.	გათვალისწინებულია	
31	წყლის რესურსების დაცვა (არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა)	ამით ხომ არ აჯობებდა ჩამონათვალის დაწყება?	გათვალისწინებულია	
32	წყლის რესურსების დაცვა (ნაგავსაყრელების ზემოქმედება)	*„40 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 400-ზე მეტი სტიქიური ნაგავსაყრელი. ხშირ შემთხვევაში ისინი განთავსებულია მდინარეების ნაპირებზე, რაც წყლის ობიექტების ნარჩენებით დაბინძურების საფრთხეს ქმნის“* - საფრთხეს ქმნის თუ აბინძურებს?	გათვალისწინებულია	ტექსტში შეტანილია ცვლილება, რომ დაბინძურებას იწვევს სტიქიური ნაგავსაყრელები.

33	წყლის რესურსების დაცვა (ბუნებრივი და ანთროპოგენური ზეწოლა წყლის რაოდენობაზე)	საკითხი ნახსენებია, მაგრამ არ არის გაშლილი წყაროს და დამფინანსებლის მითითებით.	არ არის გათვალისწინებული	აღნიშნულ აბზაცში განხილულია არსებული პრობლემა, რომ არ არის გარემოსდაცვითი ხარჯის გამოთვლის პრაქტიკა ჯერ დანერგილი. ზოგადად არის პრობლემა მიმოხილული. შესაბამისად, აქ დამფინანსებლის და წყაროს მითითება არ არის მიზანშეწონილი
34	წყლის რესურსების დაცვა (მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის და პრაქტიკის არარსებობა)	აქ "გარემოსდაცვითი ხარჯის“ მეორე განმარტებაა სქოლიოში მოყვანილი (ჩანჩქერებით). რომელი განმარტებაა სწორი? ისევ არ არის ციტირებული USAID-ის დახმარებით მომზადებული სახელმძღვანელო და გაიდლაინი. სიტყვა „ჰესი“ ასევე არ არის ნახსენები.	გათვალისწინებულია	საქართველოს პარლამენტში წარდგენილია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტი და შესაბამისი ახალი ფორმულირებით არის NEAP-ის დოკუმენტშიც განმარტება ასახული. გარდა ამისა, სქოლიოში გაკეთებულია მითითება, რომ შემუშავებულია „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია“-ის სამუშაო ვერსია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ მხარდაჭერით
35	შავი ზღვის დაცვა და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის ხელშეწყობა (სამართლებრივი და	აღნიშნული საკმარისი ვერ იქნება, რადგან წყლის კანონი მხოლოდ „სანაპირო წყლებს“ შეეხება.	გათვალისწინებულია	კანონი ხელს უწყობს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების დაცვას, რაც ხელს უწყობს შემდგომ შავი ზღვის და მისი ბუნებრივი რესურსების დაცვას. ფორმულირება ტექსტში შეცვლილია კომენტარის გათვალისწინებით.

	პოლიტიკური ჩარჩო)			
36	შავი ზღვის დაცვა და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის ხელშეწყობა (სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო)	აღნიშნული კანონი (საქართველოს საზღვაო კოდექსი) ნაკლებად რელევანტური უნდა იყოს წინამდებარე თავისთვის.	გათვალისწინებულია	მითითება და კანონი ამოღებულია ტექსტიდან.
37	შავი ზღვის დაცვა და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის ხელშეწყობა (ნარჩენებით დაბინძურება)	აუცილებელია მითითება და აღწერა, რომ საზღვაო სტრატეგიის სამუშაო ვერსია კონკრეტულ ქმედებებს შეიცავს ამ მიმართულებით.	არ არის გათვალისწინებული	აღნიშნული შენიშვნა ვერ იქნება გათვალისწინებული ქვე-თავის სტრუქტურიდან და შინაარსიდან გამომდინარე. ქვე-თავში მიმოხილულია არსებული პრობლემები. ხოლო, საზღვაო ნარჩენების შესახებ ინფორმაციასა და მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემის საპასუხი აქტივობა გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაში.
38	წყლის რესურსების დაცვა (ხედვა, მიზნები, ამოცანები)	წყლის რესურსების მართვის თავებში არსად არ არის მითითებული, რომ ახალი კანონპროექტით ეფექტურად წყლის ობიექტებზე კერძო საკუთრების შემოღებაა დაშვებული. დოკუმენტში გამოხატული უნდა იყოს მკაფიო პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.	არ არის გათვალისწინებული	დოკუმენტის ფორმატიდან გამომდიანარე, NEAP-ში ვერ მოხდება „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის გარკვეული დებულებების განხილვა და შეფასება. კანონპროექტი ამ ეტაპზე განხილვის პროცესშია საქართველოს პარლამენტში.

39	წყლის რესურსების დაცვა (ამოცანა 5.2. წყლის რესურსების რაციონალური მოხმარების ხელშეწყობა)	ისევ არ არის ციტირებული USAID-ის სახელმძღვანელო და გაიდლაინი.	გათვალისწინებულია	სახელმძღვანელო ციტირებულია (მითითებულია სქოლიოში) ტექსტში. იხ. განმარტება N 34 კომენტარის პასუხად
40	შავი ზღვის დაცვა და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის ხელშეწყობა (ხედვა, მიზნები, ამოცანები)	არ არის სათანადოდ მოხსენიებული არსად მნიშვნელოვანი პროექტები, მაგ. EUWI+ (ერთ სქილიოს თუ არ ჩავთვლით), მსოფლიო ბანკის კვლევები, არ არის კრიტიკულად განხილული ასევე საინვესტიციო პროექტები (ბათუმის და ქობულეთის ნაპირდაცვა, ანაკლიის ნაპირდაცვა და პორტი და სხვა.). მიმდინარე წამყვანი რეგიონალური პროექტები H2020 DRIDGES, DOORS, Connect, ასევე "ლურჯი შავი ზღვის" პროექტი (მსოფლიო ბანკი), არ არის არც მოხსენიებული, არც შეფასებული ამ პროექტის მიერ უკვე გამოხატული რეკომენდაციები. საერთოდ, ხომ არ დავახასიათებდით საინვესტიციო მხარდაჭერას ისტორიულ კონტექსტში (მსოფლიო ბანკი, ევრობანკები, აზიის ბანკი, ევროკავშირი და სხვა IFI-ები).	არ არის გათვალისწინებული	დოკუმენტის ფორმატიდან გამომდინარე არ არის მითითებული პროექტები. მითითებულია მხოლოდ ის შედეგები/რეფორმები რაც განხორციელდა. უფრო დეტალური მიმოხილვა და პროექტების მითითება მიზანშეწონილი იქნება გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაში.

41	შავი ზღვის დაცვა და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის ხელშეწყობა (შავი ზღვის სახეობების და ჰაბიტატების დაცვა)	შავი ზღვის დაცვის სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში, რომელიც დოკუმენტში მოხსენიებულიც კი არ არის (ისევე როგორც რეგიონალური ინსტიტუციური სტრუქტურა და ძირითადი მიმართულებები) აღნიშნული თემატიკის ქვეშ იგულისხმება „სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის“ (სზიმ) განვითარება, მაგრამ არც ეს და არც მმართველობის სხვა მიმართულებები შავი ზღვის კომისიის ეგიდით დოკუმენტში მოხსენიებული არ არის. განსაკუთრებით საშურია განიმარტოს „ბიომრავალფეროვნების საქმიანობის ცენტრის“ სტატუსი, რაც ადრე ბათუმის ინსტიტუტის მნიშვნელოვან საერთაშორისო (რეგიონალურ) ფუნქციას წარმოადგენდა და უნდა წარმოადგენდეს დღესაც შავი ზღვის კომისიის კონტექსტში.	არ არის გათვალისწინებული.	კომენტარი არ ეხება აბზაცში დასახელებულ საკითხს.
42	შავი ზღვის დაცვა და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის ხელშეწყობა	რიონზე მაღალი კაშხალის აგებაზე უარის თქმის გარეშე აღნიშნული ქმედება შეიძლება აზრს მოკლებული იყოს. მაღალი კაშხლის შეუძლებლობა საჭიროა განხილულ იქნას და პოზიცია დადგენილი „ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმასა“ და მისი სგშ-ის	არ არის გათვალისწინებული.	დოკუმენტის ფორმატიდან გამომდინარე, მსგავსი საკითხის განხილვა ტექსტში არ არის მიზანშეწონილი და საკითხი სცდება NEAP-ის ფორმატს.

	(ამოცანა 6.3 გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ზუთხისებრთა სახეობების კონსერვაციისთვის ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვის ხელშეწყობა)	სკოპინგსა და სგშ ანგარიშში, რომლის შემუშავება ამჟამად მიმდინარეობს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს აზრი ზუთხისებრთა მონიტორინგის და დარჩენილი ჰაბიტატის შენარჩუნების ღონისძიებებს. კარგი იქნებოდა NECP-ის და მისი სგშ-ის საკითხზე ამ საკითხთან მიმართებაში მიდგომის დაფიქსირება.		
43	წყლის რესურსების დაცვა (ამოცანა 6.5 საზღვაო ნარჩენების შემცირება)	გადმოტანილ იქნას სტრატეგიის მოთხოვნები საზღვაო/პლიაჟის ნარჩენებთან მიმართებაში. სრულიად არაფერია ნათქვამი მონიტორინგის საქმიანობის შესახებ - პლიაჟების ნარჩენების მონიტორინგი მარტივი და იაფი ღონისძიებაა. ასევე ვიმეორებთ, რომ პლიაჟების ნარჩენების სახეობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი საუკეთესო ინდიკატორია ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტურობის და უნდა ასეთად აისახოს გეგმაში.	ნაწილობრივ გათვალისწინებულია	იხ. განმარტება 25-ე კომენტარის პასუხად. გარდა ამისა, საზღვაო ნარჩენების მონიტორინგის საკითხი გათვალისწინებულია მე-6 მიზნის ქვეშ. კერძოდ, მიზნის გავლენის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელი მიუთითებს პარამეტრების რაოდენობას, რომელთა მიხედვითაც ხელმისაწვდომია ინფორმაცია შავი ზღვის გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ. პარამეტრების ჩამონათვალი კი მოცემულია შავი ზღვის თავში მოცემულ ცხრილში (3.1 ცხრილი, შავი ზღვის გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის პარამეტრები).
44	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	აკვაკულტურის შესახებ კანონი მოხსენიებული არ არის შესავალში	გათვალისწინებულია	

45	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	„გარდა ამისა, თითოეული დაცული ტერიტორია შექმნილია შესაბამისი კანონის საფუძველზე, რომლებშიც გაწერილია კონკრეტული დაცული ტერიტორიის მართვის სამართლებრივი ნორმები“ - ეს წინადადება ალბათ მაღლა უნდა იქნას ატანილი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონის შემდეგ	გათვალისწინებულია	
46	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	შავი ზღვის გარემოს დაცვის შესახებ ბუქარესტის კონვენცია და მისი პროტოკოლები (განსაკუთრებით რომელიც ბიომრავალფეროვნებას და ლანდშაფტებს შეეხება) არ არის ჩამონათვალში.	გათვალისწინებულია	
47	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	სატყეო კონცეფცია განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების საკითხს? კარგი იქნებოდა მითითებული რომ იყოს, კონკრეტულად როგორია დაცული ტერიტორიების გაფართოების გეგმები.	არ არის გათვალისწინებული	ეროვნული სატყეო კონცეფცია არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას საქართველოს ტყეების მიმართ. კონცეფციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაცია წარმოადგენს, რომლის მისაღწევად ერთ-ერთ განსახორციელებელ ქმედებად განსაზღვრულია სწორედ დაცული ტერიტორიების გაფართოება აღნიშნული კონცეფცია ამასთან მიმართებით მეტ კონკრეტიზაციას არ მოიცავს. დაცული ტერიტორიების გაფართოებასთან დაკავშირებული

				საკითხები დეტალურად განისაზღვრება დაცული ტერიტორიების კონცეფციითა და დაცული ტერიტორიების კრიტიკული სივრცითი ანალიზის შედეგად, რომელთა მომზადებაც დაგეგმილია და ამ დოკუმენტის (NEAP-4) ლოგიკურ ჩარჩოშიც არის გაწერილი (აქტივობები 11.2.1 და 11.2.3). ამ ეტაპისთვის განსაზღვრული გეგმარებითი დაცული ტერიტორიები კი წარმოდგენილია ლოგიკური ჩარჩოს შესაბამის ნაწილში (11.1.1).
48	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	სქოლიოში NBSAP-ის წლები არ არის მითითებული.	გათვალისწინებულია	
49	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	ხომ არ აჯობებდა ჩამოთვლა ნაგულისხმები დაცული ტერიტორიების?	არ არის გათვალისწინებული	რადგან ტექსტში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია, ვფიქრობთ, მეტი კონკრეტიზაცია არ არის საჭირო ამ დოკუმეტის ფორმატის გათვალისწინებით.
50	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	ენერგეტიკული პროექტები, განსაკუთრებით ჰესები?	გათვალისწინებულია	
51	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები	დასამატებელია მაღალ-კაშხლიანი ღრმა წყალსაცავის მქონე ჰესების მოსალოდნელი ზემოქმედება ზუთხისებრთა ჰაბიტატზე, რაც შეუთავსებელია ზუთხისებრთა სატოფე ჰაბიტატისთვის საჭირო გარემო პირობებთან (წყლის	გათვალისწინებულია	

		ტემპერატურა, შემადგენლობა და სხვა პარამეტრები).		
52	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები (ამოცანა 11.2)	ეკოლოგიური ტევადობის შეზღუდვების აუცილებლობა არ არის აქაც მისათითებელი ტურიზმის ზემოქმედებების შესამცირებლად?	არ არის გათვალისწინებული	ეკოტურიზმის განვითარება თავისი არსით გულისხმობს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას. რაც აგრეთვე რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით - მეტეჯმენტის გეგმები და ეკოტურიზმის განვითარების გეგმები
53	ბიომრავალფერ ოვნება და დაცული ტერიტორიები (ამოცანა 11.4.)	რატომ ითვლება, რომ ტყისთვის გვაქვს სისტემა და ბიომრავალფეროვნებისთვის არა? თავიდანვე ერთიან კონტექსტში არ იყო წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების ზოგადად და ტყის ბიომრავალფეროვნების მონაცემების და ინფორმაციული სისტემის განვითარება? ასევე, ხომ არ მიგვეთითებინა გლობალური სისტემების უკეთ გამოყენების სტიმულირება (მაგ. UN Biodoversity Lab, Global Forest Watch, Global Fishing Watch და სხვა)?	გათვალისწინებულია	
54	ტყის მართვა (ამოცანა 12.5)	„იგეგმება ხე-ტყის დამზადებისათვის საჭირო ტექნიკის განახლებაც, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ამ პროცესში ნიადაგზე, ტყის სხვა კომპონენტებსა და ზოგადად, ეკოსისტემაზე მიყენებული ზიანი, რაც ტყეების მდგომარეობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა“ - აღნიშნული ტიპის	არ არის გათვალისწინებული	სგშ-სთან დაკავშირებით იხ. განმარტება მე-14 კომენტარის პასუხად

		საქმიანობების შემცველი გეგმები საჭიროებენ სგშ-ს.		
55	ტყის მართვა (ამოცანა 12.3)	დაემატოს აღდგენილი ტყეების რუკა, აღნიშნულის ჩვენება სასურველია ტყის აღდგენის ზოგადად და ასევე კლიმატის ცვლილების 2021-2023 სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ტყის აღდგენის კომპონენტში მიღწეული პროგრესის საჩვენებლად.	არ არის გათვალისწინებული	აღნიშნული ტერიტორიები (აღდგენილი ტერიტორიები) ფრაგმენტულია და რუკაზე მათი ასახვა და ჩვენება ვერ მოხერხდება. აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა შესაძლებელია ტყის მართვის შესაბამისი ორგანოებისგან.
56	ლოგიკური ჩარჩო/ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები	ბიომრავალფეროვნების მონაცემებზე და საინფორმაციო სისტემებზე არაფერია მოცემული გეგმაში (ტყის მართვის ნაწილში ეს ქმედება შეტანილია, ალბათ მსგავსი ქმედება უნდა გამეორდეს ბიომრავალფეროვნების თავშიც).	გათვალისწინებულია	დაკორექტირდა შესაბამისად (ამოცანის შედეგის ინდიკატორი 12.1.3)
57	ლოგიკური ჩარჩო/ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები (გავლენის ინდიკატორი 11.2)	ალბათ აქაც გასაყოფია დაცული ტერიტორიები და ზურმუხტის ქსელის საიტები, ასევე სხვა საერთაშორისო დეზიგნაციის საიტები.	არ არის გათვალისწინებული	სხვადასხვა დაცულობის რეჟიმი გულისხმობს როგორც ეროვნულ დაცულ ტერიტორიებს, აგრეთვე საერთაშორისო ქსელებში ჩართულ დაცულ ტერიტორიებს (ზურმუხტის ქსელი, ბიოსფერული რეზერვატი, რამსარის ტერიტორიები, ა.შ.), რომლებსაც სამომავლოდ დაარეგულირებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კანონი.
58	ლოგიკური ჩარჩო/ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები	METT-ის გამოყენების საკითხი აქ არ არის მითითებული.	არ არის გათვალისწინებული	METT ქმედებად არ ჩაიწერა, რადგან ეს არის წმინდა მართვის საგანი, აღნიშნული დოკუმენტი კი არის პოლიტიკის დოკუმენტი. დაცული ტერიტორიების სისტემის კონცეფცია და სტრატეგია,

	(ამოცანა 11.2)			თავისი სამოქმედო გეგმით შემუშავდება, რომელიც იქნება საკმაოდ მრავლისმომცველი.
59	ლოგიკური ჩარჩო/ტყის მართვა (ამოცანის შედეგის ინდიკატორი 12.1.3)	ბიომრავალფეროვნებისთვისაც მსგავსი ქმედებაა ჩასასმელი.	გათვალისწინებულია	
60	სამოქმედო გეგმა აქტივობა 11.2.7	ასეთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული საქმიანობა დაცულ ტერიტორიებში უნდა ექვემდებარებოდეს სგშ-ს. აღნიშნული საკითხი გადასაჭრელია და დაუყოვნებლივ საჭიროებს სათანადო საკანონმდებლო ცვლილებას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში, რათა სრულ შესაბამისობაში მოვიდეთ ევროპის სგშ დირექტივის მოთხოვნებთან, სადაც დაცული ტერიტორიების გეგმები ექვემდებარება სგშ-ს. რამდენადაც NEAP-4 ითხოვს სგშ-ს სხვა დარგობრივი საჭიროებების გამო, გამოყენებულ უნდა იქნას ეს შესაძლებლობა და შეფასდეს დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურული გეგმებიც. ასეთი მასშტაბის სამუშაოების შესახებ დაცულ ტერიტორიებში არაფერია ნათქვამი უშუალოდ	არ არის გათვალისწინებული	იგულისხმება სალაშქრო ბილიკების და თანმდევი მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც 10 დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს 1000 კმ-ზე მეტი სიგრძის სალაშქრო ბილიკების ქსელის და ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტირება-მოწყობის სამუშაოები. 10 ლოკაციაში იგულისხმება 1. ბორჯომ-ხარაგაულის, 2. ერუშეთის, 3. ვაშლოვანის, 4. თეთრობის, 5 .ლაგოდეხის, 6. მარიამჯვარის, 7. მარტვილისად ოკაცეს, 8. ნეძვის, 9. იმერეთი-სამეგრელოს დამაკავშირებელი და 10. მტირალა-კინტრიშის დაცული ტერიტორიების დამაკავშირებელი ბილიკების პროექტირება-მოწყობის სამუშაოები. მეტი კონკრეტიზაცია არ შეესაბამება დოკუმენტის ფორმატს. ამასთან, სგშ-სთან დაკავშირებით იხ. განმარტება მე-14 კომენტარის პასუხად

		NEAP-4 დოკუმენტის ძირითად ტექსტში და მხოლოდ ერთ საბიუჯეტო ხაზად არის აქ წარმოდგენილი, რაც არ წარმოადგენს ტრანსპარენტულობის მაგალითს. აუცილებელია გაშლილად იქნას წარმოდგენილი, თუ კონკრეტულად რა კომპონენტები და ლოკაციები იგულისხმება 50 მილიონი ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოების/გეგმების ქვეშ.		
61	გარემოსდაცვითი მმართველობა (სიტუაციის ანალიზი)	მე-3 მიზანიც ალბათ 3. Good health and wellbeing. (მოხსენიებულია მაგ. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების, ატმოსფერული ჰაერის, კლიმატის ცვლილების და სხვა თავებშიც).	არ არის გათვალისწინებული	ტექსტში აქცენტი გაკეთებულია უშუალოდ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ 6 მიზანზე, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ "17-ვე მიზნის გარკვეული ამოცანები ირიბად არის დაკავშირებულია გარემოსთან". რადგან მე-3 მიზანი ("ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა ყველა ასაკის ადამიანისთვის) ეხება ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის განმსაზღვრელ ძალიან ბევრ ფაქტორს (მათ შორის უსაფრთხო გარემოს), ამ მიზანს მხოლოდ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მიზნად ვერ განვიხილავთ. თუმცა, ბუნებრივია, ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოს საკითხებთან. შესაბამისად, ფორმულირება რომ 17-ვე მიზნის კონკრეტული ამოცანები ირიბად უკავშირდება გარემოს, ფარავს ამ საკითხს

				და არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ტექსტის ცვლილება
62	გარემოსდაცვითი მმართველობა	„მწვანე“ და „ლურჯი“ ეკონომიკის?	გათვალისწინებულია	გათვალისწინებულია და ასახულია ტექსტში.
63	გარემოსდაცვითი მმართველობა (ჩანართი 1. მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებები, რომელთა მხარეც არის საქართველო)	თუ შეიძლება მივუთითოთ რატიფიცირების სტატუსი ბუქარესტის კონვენციის პროტოკოლებისათვის.	გათვალისწინებულია	
64	გარემოსდაცვითი მმართველობა (მთავარი გამოწვევები და გამომწვევი ფაქტორები)	სახელმძღვანელოები შემუშავდა კანონის მიღებამდე, არ შეესაბამება მის პროცედურებს და ვერ იქნება გამოყენებული სათანადო დანიშნულებით.	გათვალისწინებულია	შეიცვალა ფორმულირება
65	გარემოსდაცვითი მმართველობა (2.1.2.3 გარემოსდაცვითი კანონაღსრულება)	ჯარიმები და სანქციები აშკარად არასაკმარისია გზშ-ის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების აღსრულების მონიტორინგისთვის. ჯარიმები რეალისტური უნდა გახდეს და შეესაბამებოდეს დარღვევის და გარემოს დაზიანების მასშტაბებს. ამასთან, არ სრულდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მუხლი 17. საქმიანობის	გათვალისწინებულია	საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგების (მათ შორის პირობების შესრულების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია) განთავსება დაგეგმილია საჯარო პორტალზე და გათვალისწინებულია სისტემაში. საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგების საჯარო პორტალზე განთავსება ქმედების სახით ასახულ იქნა სამოქმედო გეგმაში

		შემდგომი ანალიზი პუნქტი 3. „სააგენტომ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგები (დოკუმენტი) მიღებიდან 3 დღის ვადაში უნდა განათავსოს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.“ შესაბამისად, არ არის ცნობილი, სრულდება თუ არა მუხლი 17-ის ყველა სხვა მოთხოვნა, ოთხივე პუნქტი. კოდექსის თანახმად საჭიროა, რომ “2019 წლის 1 იანვრამდე მინისტრმა გამოსცეს ბრძანება „სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგების შემდგომი ანალიზის ჩატარების შესახებ““. შესრულებულია ეს პუნქტი? თუ არ არის შესრულებული, მისი განხორციელება შეტანილ უნდა იქნას მოქმედებათა პროგრამაში. მდგომარეობის გამოსასწორებლად ანალოგიური ქმედება უნდა დაისახოს გზშ-ებისთვისაც და ეს საკითხიც ასევე შეტანილ იქნას მოქმედებათა პროგრამაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ რეალურად განხორციელდეს საქმიანობების და გზშ-ების შემდგომი ანალიზი, მონიტორინგი		

		და შეფასება და აღნიშნულთან დაკავშირებული საჯაროობა.		
66	ბუნებრივი საფრთხეებისა და რისკების მართვა (სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო)	„კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა 2015-2030“ არ არის მოხსენიებული შესავალ ნაწილში, სადაც საერთაშორისო შეთანხმებებია ჩამოთვლილი.	გათვალისწინებულია	
67	სამოქმედო გეგმა (მიზანი 1 დადსტურების წყარო ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1: რისკი)	არადამაკმაყოფილებელი გზშ ან სგშ მისაღებია? ქვეყნდება მსგავსი შეფასებები თუ არა? ვინ ასრულებს შეფასებას?	გათვალისწინებულია	გათვალისწინებულია და ფორმულირება შეცვლილია შემდეგი სახით: ,,გზშ-ს და სგშ-ს ანგარიშების წილი, რომელთა ხარისხი პასუხობს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს".
68	სამოქმედო გეგმა (აქტივობა 14.2.3)	მსგავსი პროექტები მიუღებელია სგშ-ის გარეშე. ისედაც მიუღებელია მსგავსი ინიციატივების წახალისება და ასტრონომიული თანხების ხარჯვა (34 მილიონი ლარი). გრანტით ფინანსდება თუ კრედიტით? აღნიშნული ჩანაწერით როგორც ჩანს, რეალურად „გამართლება“ ხდება „განვითარებაზე“ ორიენტირებული	არ არის გათვალისწინებული	NEAP-4-ის სგშ-ის საჭიროებასთან დაკავშირებით იხ. განმარტება მე-14 კომენტარის პასუხად. **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო**: ღონისძიების ამოღებას აქტივობებიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო არ ეთანხმება, რადგან ვთვლით, რომ

		უწყებების გიგანტური ყოველგვარ აზრს მოკლებული და ზღვარს გადაცილებული პროექტების და სახსრების „ათვისების“. ეს პუნქტები ამოღებულ უნდა იქნას გარემოსდაცვით მოქმედებათა პროგრამის დოკუმენტიდან. დაბოლოს, აღნიშნული ტიპის საქმიანობები უნდა დაექვემდებაროს სგშ-ს - კიდევ ერთი კლასი დარგობრივი საქმიანობების, რომლებიც განაპირობებენ NEAP-4-ის სგშ-ის საჭიროებას.		პრევენციულ ღონისძიებების ნაწილში ნაპირსამაგრი სამუშაოები მნიშვნელოვანია. ამასთან, UNDP-ის მიერ დაფინსებული აქტივობების კუთხით, მშნივნელოვანია იმის ჩვენება, რომ ფინანსური დახმარება ისეთ ღონისძიებებზე მიემართება, რომელიც ქვეყნის სტრატეგიულ ხედვების შესრულებას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფუნქცია არის ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, ამდენად, ცხრილში მოცემული დაფინანსება არის საბიუჯეტო სახსრები და პლიუს, UNDP-ის გრანტი, ცხრილში გამიჯნულია ეს თანხმები, ამდენად, სესხზე არ ვსაუბრობთ ამ საკითხში. ასევე, ჩვენ ვხელმღვანელობთ კანონმდებლობით, რომელიც ნაპირსამაგრ სამუშაოებზე სგშ-ს განხორციელებას არ ითვალისწინებს. 14-ვე პროექტს აქვს სკრინინგი გავლილი და მხოლოდ ერთ პროექტზე იქნა დამატებით მოთხოვნილი ზურმუხტზე გავლენის შეფასება, შესაბამისად, კომენტარის პათოსს სამინისტრო ვერ გაიზიარებს.
69	მიწის რესურსების დაცვა	ალბათ აღნიშნული თავის დასათაურება „ნიადაგის რესურსების დაცვა“ უნდა იყოს.	არ არის გათვალისწინებული	ვინაიდან მოცემულ თავში არამარტო ნიადაგზე, არამედ მიწაზეც არის საუბარი და მიწის შემადგენელი ნაწილია ნიადაგი

		სათაურის გასამართლებლად ალბათ მეტი დეტალობით უნდა იყოს დახასიათებული მიწის მართვის საკითხები მათ შორის არსებული ინსტიტუციური მოწყობა. რომელი უწყებები და ორგანიზაციები არიან ჩართულნი მიწის და ნიადაგის რესურსების და საძოვრების მართვაში?		შესაბამისად სათაურიც შეირჩა "მიწის რესურსების დაცვა". ინსტიტუციური მოწყობა არ წერია პროგრამის არც ერთ თავში, შესაბამისად მიწის თავშიც არ იქნა გათვალისწინებული
70	მიწის რესურსების დაცვა (სამოქმედო გეგმა, აქტივობა 8.1.2)	სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო მოხსენიებულიც არ არის NEAP-4-ში. მისი და სხვა დაკავშირებული ინსტიტუციების მოხსენიება გაამართლებდა თავის სათაურის ფართო კონტექსტს.	გათვალისწინებულია	
71	გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისა თვის	ამ თავში ორჰუსის კონვენცია ნახსენები არ არის, თუმცა არის გარემოსდაცვითი მმართველობის ნაწილში. წარმოადგენს თუ არა ცენტრი ორჰუსის საინფორმაციო ცენტრს?	არ არის გათვალისწინებული	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი შეიქმნა ორჰუსის ცენტრის ბაზაზე, შესაბამისად, ცენტრი მოქმედებს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის (ორჰუსის კონვენციის) პრინციპებისა და

		GIZ-ის მიერ დანერგილი „ფრინველთა საათი“ არ არის ნახსენები ანგარიშში. კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმები არ არის არც ასახული და არც ნახსენები ამ თავში, რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტია იქ საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების მიმართულების.		საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. „ბაღის ფრინველთა საათი“ გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო კამპანიაა, რომელიც უკვე 11 წელია ხორციელდება, შესაბამისად, აღნიშნიშნული სტრატეგიისთვის ის არ წარმოადგენს რეფორმას / ინციატივას მიკუთვნებულ ღონისძიებას და ვერ იქნება ასახული სიტუაციის ანალიზში. საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დამოუკიდებელ დოკუმენტს, სადაც გათვალისწინებულია განათლებისა და ცნობიერების საკითხებიც. NEAP 4-ის პროექტში აღნიშნული აქტივობები არ არის ასახული დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.
72	გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის (განხორციელებუ-ლი რეფორმები /ღონისძიებები)	წყაროები არ არის მითითებული ქვემოთ ჩამოთვლილ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე, ამდენად მკითხველი ვერ მოიძიებს მათ, მათ შორის ინტერნეტში. საინტერესოა, რამდენად განაგებს ცენტრი ტყის მართვის, იმავდროულად ბიომრავალფეროვნების და	ნაწილობრივ გათვალისწინებულია	წყაროები მიეთითა იმ დოკუმენტის შემთხვევაში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია. მონაცემთა პორტალი და კომენტარში მოცემული საკითხები არის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხი, შესაბამისად, ვერ იქნება ასახული „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ თავში.

		სავარაუდოდ მთლიანად გარემოს დაცვის ერთიან პორტალს. სასურველია რომ უფრო კოჰერენტული მიდგომა იყოს ამ საკითხისადმი. მონაცემთა პორტალის საკითხი რეალურად არ არის აღწერილი ამ თავში, რაც აუცილებელი იქნებოდა.		
73	გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის (ლოგიკური ჩარჩო)	გარემოსდაცვით მონაცემების და ინფორმაციის მართვაზე ბიუჯეტში არ არის საუბარი. რეალურად ვინ ახორციელებს გარემოსდაცვითი მონაცემების მართვას? ამ ორგანიზაციის გეგმა უნდა დაემატოს საქმიანობების გეგმას. თუკი იგულისხმება, რომ აღნიშნულ საკითხებს ფარავს თავი „გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“, არც იქ არის სათანადო ქმედებები მითითებული და შესაბამისად არ არის სახსრებით უზრუნველყოფილი. ბევრ ქმედებას საერთოდ არ აქვს ბიუჯეტი განათლების ნაწილში.	არ არის გათვალისწინებული	ზოგიერთ ქმედებაზე არ არის ბიუჯეტი მითითებული, რადგან „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 20.12.2019 წლის N 629 დადგენილების შესაბამისად ადმინისტრაციული ხარჯების მითითება არ ხდება სამოქმედო გეგმაში და ითვალისწინებს მხოლოდ დამატებითი ხარჯების ასახვას. კომენტარის პირველი ნაწილი ეხება გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, რაც ვერ იქნება ასახული განათლების ნაწილში. გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი არ არის მონაცემების მწარმოებელი. ცენტრი ხელს უწყობს გარემოსდაცვით ინფორმაციაზე და მონაცემებზე ხელმისაწვდომობას.

74	მონიტორინგი და შეფასება	აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ წარმოდგენილი და მომავალი გეგმებიც უნდა დაექვემდებაროს სგშ-ს.	არ არის გათვალისწინებული	სგშ-სთან დაკავშირებით იხ. განმარტება მე-14 კომენტარის პასუხად.
75	მონიტორინგი და შეფასება (გამჭირვალობა და მონაწილეობა)	„შესაძლებლობის შემთხვევაში ჩატარდება საჯარო შეხვედრებიც, სადაც განხილული იქნება მონიტორინგისა თუ შეფასების მთავარი მიგნებები“ - შესაძლებლობის შემთხვევაში არა, აუცილებლად, თანაც უნდა ვიცოდეთ წინასწარ, თუ როდის ექნება ადგილი ასეთ საჯარო განხილვებს, რასაც სასურველია წინ უსწრებდეს თემატური საჯარო განხილვები თავების/თემატიკის მიხედვით, როგორც ამას დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჰქონდა ადგილი და რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ სამინისტროს!	არ არის გათვალისწინებული	„პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 20.12.2019 წლის N629 დადგენილებით არ არის გათვალისწინებული მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების სამუშაო ვერსიების საჯარო შეხვედრების ფორმატში განხილვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტდა „გამჭირვალობა და მონაწილეობა“ პარაგრაფის ფორმულირებაც.